



საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა
ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 01-06 71
26/01/2018

71-01-4-201801261613



ა(ა) იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს წესდებაში
ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 106¹ მუხლის საფუძველზე გბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ა(ა)იპ „ქობულეთის მუზეუმი“-ს(ს/კ 446955091) წესდებაში და ჩამოყალიბდეს თანახმად დანართისა.

2. მიენიჭოს უფლებამოსილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსს (თეონა გეგიძე, პ/ნ 61004007919) საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურში წარადგინოს წინამდებარე ბრძანება და მოითხოვოს აღნიშნული ბრძანებით გათვალისწინებული ორგანიზაციის სადამფუძნებლო დოკუმენტაციასა და სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულ მონაცემებში შესაბამისი ცვლილებების შეტანა.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის N30)

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მირიან ქათამაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

„ქობულეთის მუზეუმი“

წესდება

ქობულეთი

2018 წელი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

1.1. ა) არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - ქობულეთის მუზეუმი (შემდგომში - მუზეუმი) არის კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, მისი დამფუძნებელია ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ხოლო დამფუძნებლის უფლებამოსილებას ახორციელებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.

ბ) მუზეუმი თავისი მნიშვნელობის, სამოღვაწეო არეალის და საქმიანობის მიმართულებით განეკუთვნება ადგილობრივი მუზეუმების კატეგორიას და არის ისტორიული ტიპის მუზეუმი.

გ) მუზეუმი არის სამეცნიერო კვლევითი და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც აწარმოებს ისტორიულ-არქეოლოგიური და კულტურის ძეგლების, საველე კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალის, ხელოვნების ნიმუშებისა და სხვა მატერიალური და სულიერი ფასეულობების აღრიცხვას, შეკრებას, დაცვა-შენახვას, სისტემატიზაციას, ექსპონირებას, შესწავლას და პოპულარიზაციას;

დ) მუზეუმში დაცული საგანძური წარმოადგენს ქვეყნის კულტურულ მემკვიდრეობას, სახელმწიფო საკუთრებას, ერის მატერიალურ და სულიერ ფასეულობას;

ე) მუზეუმი თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით და წინამდებარე წესდებით;

ვ) მუზეუმი სარგებლობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის უფლებებით;

ზ) არის წევრთა მდგომარეობისაგან დამოუკიდებელი იურიდიული პირი და მისი საქმიანობის მიზანი არ არის სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება.

თ) მუზეუმს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, ბეჭედი და შტამპი, სახაზინო/საბანკო ანგარიშები და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები;

ი) მუზეუმის იურიდიული მისამართია: ქ.ქობულეთი, დავით აღმაშენებლის გამზირი #100.

მუხლი 2. მუზეუმის ძირითადი მიზნები და ამოცანები:

1. მუზეუმის ძირითადი მიზანია მოპოვებული მასალის დაცვა-შენახვა, მისი მეცნიერული შესწავლა, ექსპონირება, პუბლიკაცია, პოპულარიზაცია, სამეცნიერო-საგანმანათლებლო მუშაობა და სხვა;

2. დაკისრებულ ამოცანათა შესასრულებლად მუზეუმი:

ა) აწარმოებს სამეცნიერო-კვლევით მუშაობას;

ბ) ქმნის მუზეუმის ძირითად ფონდს, რომელიც წარმოადგენს ქვეყნის ერთიან სამუზეუმო ფონდის შემადგენელ ნაწილს;

გ) აწარმოებს მუზეუმის ფონდების სისტემატურ შევსებას qobuleTis მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შემთხვევით აღმოჩენებისა თუ გეგმაზომიერი საველე კვლევა-ძიების შედეგად მოპოვებული მასალით, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირებისაგან შესყიდვის ან შემოწირულობის გზით მიღებული კოლექციებითა და ცალკე ნივთებით;

დ) აწარმოებს ფონდების მეცნიერულ აღრიცხვას და დოკუმენტირებას არსებული ინსტრუქციის შესაბამისად;

ე) აწარმოებს პროფილაქტიკურ, საკონსერვაციო სამუშაოებს სამუზეუმო ექსპონატებზე;

ვ) ორგანიზებას უკეთებს საფონდო ერთეულთა დაცვისა და შენახვის ოპტიმალური პირობების შექმნას;

ზ) ქმნის ხელსაყრელ პირობებს ფონდების გაცნობის, გადაადგილებისა და მათი მეცნიერული გამოყენების მიზნით;

თ) ადგენს საექსპოზიციო კონცეფციას და თემატურ-საექსპოზიციო გეგმას;

ი) ახორციელებს ღონისძიებებს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის;

3. მუზეუმი სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიზნით:

ა) აწყობს დაზვერვებსა და ექსპედიციებს, სამეცნიერო მივლინებებს, ატარებს სამეცნიერო სესიებს, სემინარებს, სიმპოზიუმებს, მონაწილეობს სხვა სამეცნიერო დაწესებულებების ანალოგიურ ღონისძიებებში;

ბ) ამზადებს გამოსაცემად და აქვეყნებს სამეცნიერო სტატიებს, მონოგრაფიებს, შრომებს, ბუკლეტებს, გზამკლევებს, კატალოგებს და ა. შ.

გ) აგროვებს მასალებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ისტორიის შესაქმნელად;

დ) აფუძნებს სერიალს „ქობულეთის არქეოლოგიური და არქიტექტურული ძეგლები“;

ე) ამყარებს კონტაქტებს სხვა მუზეუმებსა და შესაბამის სამეცნიერო დაწესებულებებთან. აწყობს ერთობლივ ექსპედიციას;

4. მუზეუმი კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის მიზნით:

ა) ატარებს მიმოხილვით, თემატურ, კომპლექსურ ექსკურსიებს, კონსულტაციებს საექსპოზიციო დარბაზებში და ფონდსაცავებში;

ბ) ორგანიზებას უწევს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების, სკოლამდელი აღზრდისა და სხვა დაწესებულებებისათვის მხარეთმცოდნეობითი ლექცია-საუბრების და სამეცნიერო-თემატური ღონისძიებების ჩატარებას;

მუხლი 3. მუზეუმის მოვალეობები

1. მუზეუმი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს თავისი კუთვნილი სამუზეუმო ექსპონატების ყოველმხრივი დაცვა;

ბ) უზრუნველყოს სამუზეუმო ექსპონატებთან სამუზეუმო საქმის სპეციალისტების დაშვება მათი მდგომარეობის შემოწმების მიზნით;

გ) უზრუნველყოს სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოება;

მუხლი 4. მუზეუმით სარგებლობა

1. მუზეუმში ექსპონირებული ნივთებისა და კოლექციების სანახავად დაიშვება ყველა მოქალაქე;

2. მუზეუმის ექსპოზიცია ღია უნდა იყოს ყველა კატეგორიის დამთვალიერებლისათვის სამუშაო საათებში;

3. მუზეუმის ხელმძღვანელობას უფლება აქვს შეზღუდოს მუზეუმის ფონდში დაცულ ექსპონატებთან დაშვება მათი დაცულობის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობის, რესტავრაციის ან საცავებში (დეპოზიტარიუმებში) მოთავსების გამო;

მუხლი 5. მუზეუმის მართვა და სტრუქტურა

1. მუზეუმის მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად, დადგენილ კომპეტენციათა ფარგლებში;

2. მუზეუმის მართვას ახორციელებს დირექტორი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.

3. სამუზეუმო მუშაობის ძირითადი მიმართულებების შესაბამისად დირექტორის წარდგინებით მუზეუმის სტრუქტურას და საშტატო განრიგს ითანხმებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი.

4. დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, მოადგილის ფუნქციის დადგენა ხდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე. მოადგილეს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს დირექტორი.

5. მუზეუმის დირექტორის მიერ უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის, ადგილზე არყოფნის ან უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, დირექტორის მოვალეობას, დროებით ასრულებს მუზეუმის ერთ-ერთი თანამშრომელი;

მუხლი 6. მუზეუმის დირექტორი:

- ა) ხელმძღვანელობს მუზეუმის საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
- ბ) წარმოადგენს მუზეუმს ყველა ინსტანციაში, ნიშნავს რწმუნებულებს, გასცემს მინდობილობებს, მუზეუმის სახელით ქობულეთის მუნიციპალიტეტთან შეთანხმებით დებს გარიგებებს;
- გ) მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების შესაბამისად განაგებს მუზეუმის ქონებას და საფინანსო სახსრებს, პასუხისმგებელია მათ კანონიერ გამოყენებაზე;
- დ) საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად წარმართავს შრომით ურთიერთობებს;
- ე) სამუზეუმო მუშაობის ძირითადი მიმართულების შესაბამისად მუზეუმის სტრუქტურას და საშტატო განრიგს დასამტკიცებლად წარუდგენს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს.
- ვ) ამტკიცებს დაწესებულების შინაგანაწესსა და სამსახურებრივ ინსტრუქციებს;
- ზ) დირექტორი ვალდებულია მუნიციპალიტეტის მერიაში დასამტკიცებლად წარადგინოს გაწეული საქმიანობის შესახებ ყოველკვარტლური და წლიური ანგარიში ყოველი წლის და კვარტლის მომდევნო თვის 20 რიცხვამდე;
- თ) ასრულებს კანონმდებლობით, ამ წესდებით და მათ შესაბამისად ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.
- ი) დირექტორი უფლებამოსილია, უხელმძღვანელოს სამეცნიერო საბჭოს ან სხვა სათათბირო ჯგუფს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).
- კ) ვალდებულია მისი არყოფნის პერიოდში დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის კანდიდატურა შეათანხმოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერს.

მუხლი 7. სამეცნიერო საბჭო

1. სამეცნიერო საბჭო წარმოადგენს მუზეუმის საკონსულტაციო ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს მუზეუმის სამეცნიერო-კვლევით და საექსპოზიციო საქმიანობის ძირითად მიმართულებებს.
2. სამეცნიერო საბჭოს შემადგენლობა მტკიცდება დირექტორის მიერ. სამეცნიერო საბჭო შედგება მუზეუმის მეცნიერ-თანამშრომლებისა და მოწვეული პირებისგან.
3. სამეცნიერო საბჭო შედგება 9 წევრისაგან. სამეცნიერო საბჭოს წევრები ინიშნებიან 4 წლის ვადით. დირექტორს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება სამეცნიერო საბჭოს წევრისთვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.
4. სამეცნიერო საბჭო თავისი შემადგენლობიდან ირჩევს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარის არჩევა ხდება 4 წლის ვადით.
5. სამეცნიერო საბჭო განიხილავს:
 - ა) მუზეუმის შემოქმედებითი განვითარების გეგმას და მუზეუმის შემოქმედებით მოღვაწეობასთან დაკავშირებულ საკითხებს;
 - ბ) სამეცნიერო-კვლევით და საექსპოზიციო სამუშაოთა, სამეცნიერო კადრების მომზადების, სამეცნიერო ნაშრომთა გამოცემის პროექტებს;
 - გ) მუზეუმის სამეცნიერო და საექსპოზიციო საქმიანობის მიმდინარეობას და აძლევს შეფასებას მიღწეულ შედეგებს;
 - დ) განიხილავს სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან შემოქმედებითი თანამშრომლობის, ერთობლივ საკვლევადიებო და სამეცნიერო სამუშაოთა დაგეგმვისა და მათ მიმდინარეობასთან დაკავშირებულ საკითხებს.
6. მუზეუმის თემატური საქმიანობის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს მუზეუმის სამეცნიერო საბჭო.
7. საბჭოს სხდომას ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში – საბჭოს მიერ არჩეული სხომის თავმჯდომარე. საბჭოს სხდომა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება საჭოს წევრთა ნახევარზე მეტი. საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უბრალო უმრავლესობით.
8. სამეცნიერო საბჭოს სხდომა ტარდება სამ თვეში ერთხელ მაინც. დირექტორს ან/და საბჭოს წევრს შეუძლია მოითხოვოს საბჭოს რიგგარეშე სხდომის გამართვა. გადაწყვეტილება საბჭოს რიგგარეშე სხდომის გამართვის თაობაზე და სხდომის დღის წესრიგი საჭოს წევრებს უნდა ეცნობოს სხდომის გამართვამდე არაუგვიანეს სამი დღით ადრე.

9. სამეცნიერო საბჭოს სხდომის ოქმი ფორმდება სხდომის ოქმის სახით.

მუხლი 8. ფონდების მთავარი მცველი

1. მუზეუმის ფონდების მთავარ მცველს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ანთავისუფლებს დირექტორი.

2. ფონდების მთავარი მცველი:

ა) აკონტროლებს მუზეუმის ფონდების მდგომარეობასა და დაცულობას;

ბ) უზრუნველყოფს მუზეუმში დაცული სამუზეუმო ექსპონატების შესწავლასა და რესტავრირებას, ასევე ყველა სხვა ღონისძიებას, რომელიც აუცილებელია სამუზეუმო ექსპონატების ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) აკონტროლებს მუზეუმის სხვა მუშაკთა საქმიანობას, რომელიც უკავშირდება სამუზეუმო ექსპონატების აღრიცხვა-პასპორტიზაციას, რესტავრაციას, შეფუთვასა და გადაადგილებას;

დ) უზრუნველყოფს სამუზეუმო ფასეულობების სააღრიცხვო დოკუმენტაციის წარმოებასა და დაცვას დადგენილი წესისა და ინსტრუქციების შესაბამისად.

მუხლი 9. მუზეუმის საქმიანობის კონტროლი

1. მუზეუმის საქმიანობა ექვემდებარება სახელმწიფო კონტროლს, რაც გულისხმობს მის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობის და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას;

2. მუზეუმის კონტროლის განმახორციელებელი ორგანო კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში არის ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერია, რომელსაც უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალებისა და ინფორმაციის წარმოდგენა;

3. კონტროლის განმახორციელებელი ორგანო უფლებამოსილია შეაჩეროს ან გააუქმოს მუზეუმის დირექტორის არამართლზომიერი გადაწყვეტილება;

მუხლი 10. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. მუზეუმს მხოლოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის თანხმობით აქვს უფლება განახორციელოს შემდეგი საქმიანობა:

ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და ვალდებულებებით დატვირთვა;

ბ) საშტატო განრიგისა და ხელფასის ფონდის განსაზღვრა;

გ) სხვა გადაწყვეტილებები მუზეუმის ქონებასთან დაკავშირებით, რომლებიც სცილდება ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს;

მუხლი 11. საბუღალტრო ანგარიშგება და კონტროლი

1. მუზეუმი ვალდებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აწარმოოს საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგება, შეადგინოს ბალანსი.

2. ქობულეთის მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია განახორციელოს მუზეუმის საფინანსო კონტროლი დამოუკიდებელი აუდიტის მეშვეობით;

მუხლი 12. მუზეუმის დაფინანსების წყაროები

1. მუზეუმის დაფინანსების წყაროებია:

ა) ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი;

ბ) ბილეთების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები;

გ) ბუკლეტების და სხვა თვალსაჩინო მასალების რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავლები;

დ) შემოსავლები, რომლებიც მიიღება ექსპონატებისა და კოლექციების გადაღებით, მათი ფოტო, კინო, ვიდეო და აუდიო ჩანაწერების სატელევიზიო და სხვა ტრანსლაციათა მიზნების გამოყენებით;

ე) შემოსავლები, რომლებიც მიიღება მუზეუმის მიერ სხვა იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის გაწეული კულტურული მომსახურების შედეგად;

- ვ) დამხმარე სამეურნეო-კომერციული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;
- ზ) სახელმწიფო შეკვეთების შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;
- თ) სპონსორებისაგან (სახელმწიფო და სხვა ორგანიზაციები, კერძო პირები, საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეები) მიღებული თანხები, შემოწირულობანი, გრანტები, სხვა სახის ფინანსური დახმარება;
- ი) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

მუხლი 13. მუზეუმის ქონება

მუზეუმის ქონებას წარმოადგენს მუზეუმისათვის განკუთვნილი შენობა, ინვენტარი, სატრანსპორტო საშუალებანი და სხვა;

მუხლი 14. მუზეუმის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

გადაწყვეტილება მუზეუმის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია ხორციელდება კანონით დადგენილი წესით.

მუხლი 15. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერი:

მირიან ქათამაძე